



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
სენატის გადაწყვეტილება №2/7, 15.02.2019



_____ ი. შარაბიძე

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის შედეგების ანგარიში

ND 2-006-03

შეთანხმებულია:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი _____ ლ. ჯაყელი

შემუშავებულია:

ISO სტანდარტის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსი _____ ნ. ყურშუბაძე



შინაარსი

1	ნორმატიული ბაზა	3	
2	გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები	3	
3	ძირითადი დებულებები	4	
4	სისტემური ცვლილებები	4	
5	მომხმარებელთა დაკმაყოფილების მაჩვენებელი	8	
6	სისტემის გაუმჯობესება	10	
6.1.	ფაკულტეტების საქმიანობის მიმოხილვითი ანგარიში	10	
6.1.1.	საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტი	10	
6.1.2.	ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის ანგარიში	13	
6.1.3	მაგისტრატურის სამსახური	14	
6.1.4	პროფესიული მომზადების ცენტრი	15	
6.1.5	მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრი	17	
6.1.6	სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობის და შეფასების დეპარტამენტი	20	
6.1.7	სტუდენტთა სერვისების და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტი	21	
6.1.8	მნიშვნელოვანი ღონისძიებები და ინტერნაციონალიზაცია	24	
6.2.	შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია	27	
6.3.	ბიბლიოთეკა	29	
7	ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტი შედეგები		30
8	ხარისხის მენეჯმენტის სისტემის გარე უდიტის შედეგები		31
8.1	წინასაავტორიზაციო აუდიტი	31	
8.2.	სასერტიფიკაციო ორგანო	31	
8.3.	მარეგულირებელი ორგანო	32	
8.4.	აკრედიტაციის ორგანო	32	
9	მიზნები ხარისხის სფეროში - შესრულების მაჩვენებელი	32	
10	რეკომენდაციები სისტემის სრულყოფისათვის	34	
11	გავრცელების არე	35	



1. ნორმატიული ბაზა

1. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2– Q03;
2. დოკუმენტების მართვის პროცედურა ND 2–Q04–01;
3. ჩანაწერების მართვის პროცედურა ND 2–Q04–02;
4. შიდა აუდიტის ჩატარების პროცედურა ND 2–Q04–03;
5. შეუსაბამობების მართვის პროცედურა ND 2–Q04–04;
6. მომსახურების მონიტორინგის პროცედურა ND 2–Q05–08;
7. იდენტიფიკაციის პროცედურა ND 2–Q05–09;
8. ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები ND 2–Q05–03.

2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები

2.1. განმარტებები ტერმინები

1. **პროცესი**-რესურსებისა და საქმიანობის ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობა, რომელიც მიწოდებულ საწყის მოცემულობას (შემავალს) გარდაქმნის საბოლოო პროდუქტად (გამოსასვლელად);
2. **რესურსი**-ყველაფერი რაც უზრუნველყოფს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუშაობას (მიეკუთვნება პერსონალი, მომსახურება, მოწყობილობები, დროის რესურსები, ტექნოლოგია და მეთოდოლოგია.);
3. **ნორმატიული დოკუმენტი**-შესაბამის მატარებელზე განთავსებული ინფორმაცია, რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს მოღვაწეობის გარკვეული სფეროსათვის;
4. **პერიოდული შემოწმება**-არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;

2.2 შემოკლებები

ND – ნორმატიული დოკუმენტი;

აკადემია – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;

ISO – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;



3. ძირითადი დებულებები

- 3.1. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის ანგარიშის განხილვა ჩატარდა საზღვაო აკადემიის სენატის სხდომაზე 2019 წლის 15 თებერვალს. სხდომას ესწრებოდნენ სენატის წევრები და ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
- 3.2. ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სენატის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა შემდეგი მონაცემები:
 1. სერტიფიცირების ორგანოს მიერ ჩატარებული გარე შემოწმების მასალები;
 2. აკადემიის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა შემოწმების მასალები;
 3. მომხმარებელის კმაყოფილების დამადასტურებელი მასალები;
 4. პროცესების შესრულებისა და მათი შესაბამისობის დადასტურება (ფაკულტეტების, სამსახურების, სტრუქტურული ერთეულების, დეპარტამენტების, ცენტრების ანგარიშები);
 5. მონაცემები შიდა და გარე აუდიტების და მონიტორინგის შედეგების მაკორექტირებელი და პრევენციული ქმედებების სტატუსების შესახებ;
 6. მონაცემები წინმსწრები სისტემური ანალიზის სტატუსის შესახებ;
 7. მასალები სისტემური ცვლილების შესახებ;
 8. ნორმატიული დოკუმენტები: პოლიტიკა ხარისხის სფეროში, მიზნები ხარისხის სფეროში - შესრულების მაჩვენებლები, ახალი მიზნების ჩამოყალიბება
 9. გაუმჯობესების რეკომენდაციები.

4. სისტემური ცვლილებები

საანგარიშო პერიოდში საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის და ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურები აქტიურად ახორციელებდნენ სასწავლო დეპარტამენტების, ფაკულტეტების, ცენტრების, სტრუქტურული ერთეულების და სამსახურების მონიტორინგს, უწევდნენ კონსულტაციებს წესებისა და ინსტრუქციების შემუშავებას, აწარმოებდნენ კონტროლს შესრულებაზე და ანალიზებდნენ პროცესების გასაუმჯობესებელ გზებს;

2018 წლის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ძირეული ცვლილებები, რომელიც დაკავშირებული იყო ავტორიზაციის ახალი სტადარტების მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან. არსებული მდგომარეობის შეფასების საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალ სტანდარტზე გადასვლის სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა საზღვაო აკადემიის თანამშრომელთა სრულ ჩართულობას. შეიქმნა 7 სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებული სათანადო კომპეტენციის და



ფუნქციური მოვალეობების მქონე პირებით, რომელთაც დაევალოთ ავტორიზაციის სტანდარტებთან აკადემიის მარეგულირებელი დოკუმენტების ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა.

ხარისხის უზრუნველყოფის და ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურები ეტაპობრივად ახორციელებდნენ მოქმედი წესების, რეგულაციების, ფუნდამენტალური, ორგანიზაციული და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების და დებულებების ანალიზს. ანალიზის შედეგად დაიგეგმა განსახორციელებელ სამუშაოთა ნუსხა, განისაზღვრა შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და დაწესდა შესრულების გონივრული ვადები. ეტაპობრივად შემუშავდა ახალი ფუნდამენტალური და ორგანიზაციული პროცედურები. დაკორექტირდა /შევიდა ცვლილებები აკადემიის ნორმატიულ დოკუმენტებში.

განახლდა სამივე სასწავლო საფეხურის მარეგულირებელი წესი - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, პროფესიული.

საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის მაძიებლად ცნობისთვის თვითშეფასების ფორმა სრულყოფილად იყო წარდგენილი. თვითშეფასებაში წარდგენილი ინფორმაცია სრულიად აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნებს. მტკიცებულებების/ინდიკატორების გრაფაში მითითებული დოკუმენტები იყო დანომრილი და წარდგენილი დანართის სახით. თითოეულ სტანდარტთან მიმართებაში წარდგენილი იყო ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები.

2018 წლის 19 მარტს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გადაიგზავნა უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტებით.

2018 წლის 26 მარტს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მივიღეთ ხარვეზის წერილი, რის საფუძველზეც განხორციელდა ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშის რედაქტირება, რომელიც თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად 2018 წლის 11 აპრილს გადაიგზავნა ცენტრში.

2018 წლის 15, 16 და 17 მაისს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით საზღვაო აკადემიაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ექსპერტი. დაიგეგმა შეხვედრათა დღის წესრიგი, აკადემიის ყველა თანამშრომელი აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი ინფორმირებული და აქტიურად ჩართული იყო მოსამზადებელ პროცესებში. ექსპერტთა ვიზიტის საფუძველზე.

2018 წლის 8 აგვისტოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრიდან მივიღეთ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა ინგლისურ ენაზე, რომელშიც გადაითარგმნა და მომზადდა არგუმენტირებული პასუხები ანგარიშში დაფიქსირებულ რეკომენდაციებსა და რჩევებზე.

ინსტიტუციური ავტორიზაცია:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 58, 01.09.2018 წ.- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 59, 01.09.2018 წ. - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.



2018 წლის 19 სექტემბერს სენატის №12/16 გადაწყვეტილებით დამტკიცდა: 2018 წლის 1 სექტემბრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საიმპლემენტაციო გეგმა (უსდ - პროფესიული) რეკომენდაციების შესაბამისად შეიმქნა სამუშაო ჯგუფები და არჩეულები იქნენ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

პროგრამული აკრედიტაცია:

საანგარიშო პერიოდში საზღვაო-საინჟინრო და ბიზნესის და მართვის ფაკულტეტებზე აკრედიტაცია მიენიჭა 2 სამაგისტრო და 2 საბაკალავრო პროგრამას, კერძოდ:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 42, 28.03.2018 - აკრედიტაცია მიენიჭა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას - გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები;
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 43, 28.03.2018 - აკრედიტაცია მიენიჭა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას - საპორტო ოპერაციების მართვა;
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 125, 28.09.2018 - აკრედიტაცია მიენიჭა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას - ბიზნესის ადმინისტრირება;
4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა 2019 წლის 16 იანვარი - ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია - ველოდებით გადაწყვეტილების ატვირთვას საიტზე.

უნდა აღიონიშნოს, რომ აკრედიტაციის საბჭომ პროგრამაზე „ბიზნესის ადმინისტრირება“ ექსპერტთა რეკომენდაციებზე ანგარიშის წარსადგენად 3 თვე დაადგინა.

2018 წლის 26 დეკემბერს „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 2018 წლის 28 სექტემბრის № 125 აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინებით მომზადდა ანგარიში. პროგრამაში და ცალკეულ სასწავლო კურსებში ცვლილებები გადაეგზავნა აკრედიტაციის საბჭოს.

სარემონტო სამუშაოები და ახალი სასწავლო სივრცე

2018 საანგარიშო წელს საზღვაო აკადემიის ძირითად კორპუსს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სარემონტო სამუშაოები. ძირეულად შეიცვალა სანიტარული კვანძები, წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემა, ჩატარდა შიდა ელექტრო სამუშაოები, დამონტაჟდა გათბობის შიდა და გარე ქსელები, სახანძრო და სავენტილაციო სისტემა. ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად შეიქმნა და სათანადოდ აღიჭურვა ცენტრალიზებული სისტემა -სასერვერო ოთახი, ინტერნეტის, სატელეფონო და სათვალთვალო სისტემის უწყვეტ რეჟიმში მიწოდების მიზნით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ განხორციელდა ადმინისტრაციული კორპუსის ინტერნეტ, სატელეფონო და სხვა საკომუნიკაციო ქსელის სრული რეაბილიტაცია. შეძენილი, დამონტაჟებული და კონფიგურირებული იქნა შიგა და



ლოკალური მომსახურებისთვის საჭირო ქსელური მოწყობილობები. აკადემიის სასწავლო საწვრთნელი გემი უზრუნველყოფილი იქნა ინტერნეტ-მომსახურეობით და სათვალთვალო კამერებით. დაინერგა ახალი ელექტრონული სერვისები და დამონტაჟდა 12 მსმენელზე გათვლილი შემდეგი სასწავლო კაბინეტები: **ECDIS, GMDSS, Engine Rooms** და **Cargo Balast**.

ელექტრონული საქმისწარმოება

2017 წლის ივნისიდან საზღვაო აკადემია გადავიდა საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე. ჩართული ვართ საჯარო რეესტრის ელექტრონულ პროგრამაში „დეს“ (დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა). მოცემულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით დატრენინგდა პროგრამაში ჩართული თანამშრომლების სრული შემადგენლობა. აღნიშნულმა პროგრამამ საგრძნობლად გაამარტივა დოკუმენტბრუნვა აკადემიაში. ყველა სახის ბრძანება, შიდა და გარე კორესპონდენცია მზადდება, რეგისტრირდება და გადამისამართდება ადრესატებთან ელექტრონულად, როგორც აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებში ასეთვე დესში ჩართულ და დესის პროგრამასთან ინტეგრირებულ სხვადასხვა დაწესებულებებში. შედეგად შემცირდა საფოსტო ხარჯი და გაუმჯობესდა მიწოდების ხარისხი. კანონის შესაბამისად დაინერგა კვალიფიციური ელექტრონული შტამპი.

2018 წლის 03 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით აკადემიის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში დარეგისტრირდა:

- ✓ შემოსული კორესპონდენცია - 7679;
- ✓ გასული კორესპონდენცია - 4514;
- ✓ შიდა კორესპონდენცია - 3216.

დიპლომირება

2018 წლის განმავლობაში გაცემული 426 კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი, მათ შორის პროფესიული მომზადების ცენტრში -90, საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებზე - 234, ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებზე - 86 და ორივე ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებზე - 10.

შესყიდვები

სასწავლო და საწვრთნელი პროცესის უწყვეტად მიმდინარეობის, პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საზღვაო აკადემიის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად საანგარიშო 2018 წლის განმავლობაში სულ განხორციელდა 321 სახელმწიფო შესყიდვა, მათ შორის 26 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ხოლო 295 გამარტივებული შესყიდვით.

განხორციელებული შესყიდვების პროცესში გათვალისწინებული იყო როგორც აკადემიის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მომზადება/გადამზადება, აგრეთვე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, სასწავლო და საწვრთნელი პროცესში სავალდებულო



აღჭურვილობის, დანადგარების და სიმულატორების შესყიდვა-ინსტალირება, პროგრამული უზრუნველყოფის განახლება, სასწავლო მასალების შექმნა და ა.შ.

განხორციელებული შესყიდვების ფარგლებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ნაწილში აღსანიშნავია შემდეგი საკვანძო შესყიდვები:

- „Transas Ukraine Limited“-თან გაფორმებული ხელშეკრულება (2018 წლის 14 მარტი, №76) კავშირისა და უსაფრთხოების საზღვაო გლობალური სისტემის (GMDSS) სიმულატორული-სატრენაჟორო კომპლექსის პროგრამული უზრუნველყოფის ყოველწლიური განახლების, პერსონალის გადამზადების, სერვისის მომსახურებისა და პროგრამის ახალი ვერსიის შესაბამისად დამატებითი მოწყობილობებით აღჭურვის თაობაზე.
- „Transas Ukraine Limited“-თან გაფორმებული ხელშეკრულების (2018 წლის 23 აპრილი, №103) ფარგლებში განხორციელდა :

ა) 12 მსმენელზე აღჭურვილი სასწავლო კაბინეტის მოწყობა: ECDIS - ელექტრონული - კარტოგრაფიული მოწყობილობები და ინფორმაციული სიტემა;

ბ) 12 მსმენელზე აღჭურვილი სასწავლო კაბინეტის მოწყობა: GMDSS - საზღვაო კავშირის გლობალური სისტემა (დაკავშირებული ECDIS-ის კაბინეტთან);

გ) 12 მსმენელზე აღჭურვილი სასწავლო კაბინეტის მოწყობა: სამანქანე განყოფილების ტრენაჟორი უახლესი თაჩსქრინ ფუნქციით ;

დ) 12 მსმენელზე აღჭურვილი სასწავლო კაბინეტის მოწყობა: თხევადი ტვირთის დამუშავების ტრენაჟორი (თხევადი ტვირთმზიდი გემების სატვირთო ოპერაციები);

- შპს „ბედი.ჯი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება (2018 წლის 10 მაისი, №118) კომპიუტერული მოწყობილობების და აქსესუარების შესყიდვის თაობაზე კომპანია „TRANSAS“-ისგან გემის მართვის სიმულატორული კაბინეტებისათვის;

- კომპანია „Applied Research International“ (Ari Simulation) Pvd.Ltd ხელშეკრულება (2018 წლის 08 ივნისი, №145) მობილური ამწე კრანებისა და კომპლურა ამწე კრანის აპლიკაციების/ სიმულატორების ინსტალაცია/მიწოდების შესახებ.

ასევე, გასული წლის განმავლობაში ელექტრონული ტენდერის მეშვეობით შესყიდულ იქნა აკადემიის ძირითადი კორპუსის შენობის მომსახურება სარემონტო სამუშაოებზე .

საანგარიშო წლის განმავლობაში შესყიდულ იქნა სულ 5 სატრენინგო მომსახურება, რომლის ფარგლებში გადამზადდა აკადემიის 26 თანამშრომელი.

პერსონალის მომზადება / გადამზადება

პერსონალის გადამზადებით კუთხით საზღვაო აკადემიის მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელ და სერტიფიცირების ცენტრში აკადემიის 27 თანამშრომელს, მათ შორის: უსაფრთხოების და შინაგანაწესის სამსახურის პერსონალს, ფაკულტეტების დეკანის თანაშემწეებს, ოფიცერ-კოორდინატორებს , ადამიანური და მატერიალური რესურსების სამსახურების თანაშემწეებს ჩაუტარდათ პირველადი დახმარების, ხანძრის თავიდან აცილებისა და ხანძართან ბრძოლისა და უშიშროების უნარ-ჩვევების კურსები.

5. მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებელი

5.1. სპეციალური ანკეტა-კითხვარების შევსების გზით საზღვაო აკადემია ახორციელებს

ND 2-O06-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №11

რევიზიის თარიღი 15.02.2019

მოქმედებაშია 25.01.2003



მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებლების შეფასებას. საზღვაო აკადემიის მომხმარებლები არიან საზღვაო ინფრასტრუქტურის დაწესებულებები და სამსახურები, საზღვაო კრუინგული კომპანიები.

- 5.2. კითხვარები განთავსებულია საზღვაო აკადემიის ვებგვერდზე, მისამართზე - www.bsma.edu.ge. დაინტერესებულ პირებს დაეგზავნათ შეტყობინება გამოკითხვების დაწყების შესახებ.
- 5.3. აღნიშნული ეტაპისთვის 2018 წ. გამოკითხვის პროცესის შედეგების ანალიზი დასრულებულია და მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებლების შედეგები განთავსებულია საზღვაო აკადემიის ვებგვერდზე.
- 5.4. დამუშავების პროცესშია მეზღვაურთა სასწავლო, საწრთვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრის მსმენელის კითხვარი. ასევე დამუშავების პროცესშია გამოკითხვების შედეგების ანალიზის დოკუმენტი, რომლის საფუძველზე მივიღებთ მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებელს;
- 5.5. ჩატარებულია დამსაქმებელთა გამოკითხვა, მათ შორის, კრუინგული კომპანიების.
- 5.6. შემუშავებულია აკადემიის პერსონალის გამოკითხვის კითხვარი და ჩატარებულია ონლაინ გამოკითხვა.
- 5.7. ყველა ზემოთაღნიშნული გამოკითხვა დასრულებულია და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის აკადემიის ვებგვერდზე.

<i>№</i>	<i>გამოკითხვის დასახელება</i>	<i>ბმული</i>
1	კურსდამთავრებულთა გამოკითხვა	http://graduate.bsma.edu.ge/
2	კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები	http://employer.bsma.edu.ge/graduate.php
3	კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი/ სტატისტიკა	http://bsma.edu.ge/upload/Alumni.pdf
4	დამსაქმებელთა გამოკითხვა	http://employer.bsma.edu.ge/
5	დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები	http://employer.bsma.edu.ge/employer.php
6	დამსაქმებელთა გამოკითხვის სტატისტიკა	http://bsma.edu.ge/upload/Employers.pdf
7	აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები	http://bsma.edu.ge/upload/Academic%20Staff.pdf
8	ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგები	http://bsma.edu.ge/upload/Administrative%20Staff.pdf
9	სტუდენტთა ზოგადი გამოკითხვის შედეგების ანალიზი	http://bsma.edu.ge/upload/Students.pdf
10	პედაგოგთა შეფასება სტუდენტების მიერ	http://bsma.edu.ge/upload/Lecturers.pdf
11	სტუდენტების გამოკითხვის შედეგები- ბიბლიოთეკა	http://bsma.edu.ge/upload/Library-students.pdf
12	სტუდენტების გამოკითხვის შედეგები- მატერიალური რესურსი	http://bsma.edu.ge/upload/Material%20resources.pdf
13	სტუდენტთა სწავლების შედეგების ანალიზი 2015-2018 წწ.- ბიზნესის და მართვის ფაკულტეტი	http://bsma.edu.ge/upload/2015-2018%20Statistics-%20Business.pdf
14	სტუდენტთა სწავლების შედეგების ანალიზი 2015-2018 წწ.- საზღვაო საიჟინრო ფაკულტეტი	http://bsma.edu.ge/upload/2015-2018%20Statistics%20MF.pdf



15	გაცვლითი პროგრამით მყოფი სტუდენტების გამოკითხვის ანალიზი	http://bsma.edu.ge/upload/Abroad.pdf
16	მაგისტრანტების გამოკითხვის შედეგების ანალიზი	http://bsma.edu.ge/upload/Master%20survey.pdf

5.8. 2019 წლის დასაწყისში კითხვარებში შევიდა ცვლილებები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს გამოკითხვის პროცესის დაწყებას 2019 წ 20 თებერვლისთვის, ხოლო ანგარიშების ანალიზი, რეკომენდაციების გაცემა და შედეგების ვებ-გვერდზე ატვირთვა განხორციელდება 2019 წლის მარტის ბოლომდე.

6. სისტემის გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში სასწავლო/ საწვრთნელი პროცესის გაუმჯობესების მიზნით სისტემატურად ხორციელდებოდა ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლება, მოდერნიზაცია, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისობაში მოყვანა და სხვ.

გაუმჯობესების მაჩვენებლები ჩამოყალიბებულია ფაკულტეტების, სასწავლო-საწვრთნელი ცენტრების (გადამზადების და პროფესიული), სასწავლო და შეფასების პროცესის, სტუდენტური სერვისების და კარიერული მხარდაჭერის განმახორციელებელი სამსახურების ანგარიშებში.

6.1 ფაკულტეტების საქმიანობის მიმოხილვითი ანგარიში

ფაკულტეტები აქტიურად მონაწილეობდნენ საზღვაო აკადემიის ინსტიტუციური ავტორიზაციის პროცესში.

წლის განმავლობაში გეგმიურად მიმდინარეობდა მუშაობა სასწავლო პროცესის ორგანიზაციის მიმართულებით, კერძოდ: აკადემიური და მოწვეული პერსონალის კალენდარული დატვირთვების შედგენა-დამტკიცება, სტუდენტთა ფინანსური და აკადემიური რეგისტრაცია, სასწავლო ცხრილების შედგენა-დამტკიცება, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზაცია და ა. შ.

6.1.1 საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტი

პერსონალის მოზიდვა/ მომზადება/გადამზადება

საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების კუთხით საზღვაო აკადემია სასწავლო პროცესის განხორციელებაში აქტიურად რთავს დარგის მოქმედ სპეციალისტებს, რაც ხელს უწყობს და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პრაქტიკული უნარების და კომპონენტის ამაღლებას. დარგის სპეციალისტები ჩართულები არიან როგორც პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შემუშავება/ გადამუშავებაში, ასევე მეთოდური მასალების და პრაქტიკული სამუშაოების შემუშავებაში.

2018 წელს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, მოწვეული იქნა შესაბამისი დარგის სპეციალისტი; კერძოდ:



- საზღვაო ნავიგაცია - 2 შორეული ნაოსნობის კაპიტანი; 3 კაპიტნის უფროსი თანაშემწე;
- გემის მექანიკა - 2 გემის უფროსი მექანიკოსი; 2 გემის მეორე მექანიკოსი;
- გემის ელექტრომექანიკა - 2 გემის ელექტრომექანიკოსი;
- ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია - 3 დარგის სპეციალისტი (ტექნიკური ექსპერტები);

2018 წლის ოქტომბერ-ნოემბერში დარგის მოწვეულ სპეციალისტებს ჩაუტარდათ პროფესიული კვალიფიკაციის (სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია) ამაღლების ტრენინგი, რომლის თემატიკა ითვალისწინებდა სალექციო კურსის შემუშავებას, ცოდნის და გამოცდილების გადაცემის და შეფასების მეთოდების სწავლებას.

2018 წლის სექტემბერში ტრენინგები ჩაუტარდა უცხო ენათა დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებს პროფესიული უცხო ენის სწავლების მეთოდებში. კერძოდ გადამზადდა 12 აკადემიური პერსონალი და 6 მოწვეული მასწავლებელი. გადამზადება განხორციელეს: რუსეთის პლენანოვის სახელობის ეკონომიკის უნივერსიტეტის “Application of modern technologies and innovative teaching approaches in the specialized English language courses” და ვროცლავის უნივერსიტეტის “Errors in second language learning and teaching” ტრენინგებში.

საგანმანათლებლო პროგრამები

განახლებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად 2018 წელს დაიწყო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანა საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესასრულებლად, შემუშავდა 5 ახალი სასწავლო კურსი და მიმდინარეობს რედაქტირებული პროგრამების აკრედიტაციის პროცესისთვის მომზადება. აკადემიური დეპარტამენტები, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან ერთად მუშაობენ სასწავლო კურსების ცვლილებებზე და ამზადებენ თვითშეფასებებს აკრედიტაციის ახალი სტანდარტის შესაბამისად.

მოკლევადიანი გადამზადების კურსები

2018 საანგარიშო წელს ფაკულტეტზე შემუშავდა მეზღვაურებისთვის 3 მოკლევადიანი საწვრთნელი კურსი:

- ავტომატიზირებისა და მართვის სისტემის წვრთნა;
- მაღალი ძაბვა;
- ჰიდრავლიკური სისტემები/მექანიზმები.

საზღვაო დამსაქმებელთა საერთაშორისო საბჭოს და „ქოლუმბია შიფტენეჯმენტ ჯორჯიას“ ერთობლივი სასწავლო პროექტის ფარგლებში უცხო ენათა დეპარტამენტმა განხორციელდა IMEC-ELT კურსები. 120 საათის მოცულობის ინგლისური ენის მოკლევადიანი უფასო კურსები მოისმინა



და შესაბამისად გადამზადდა საზღვაო აკადემიის საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი 46, სერტიფიცირება გაიარა 90 მეზღვაურმა.

მარლინსის აღიარებული ცენტრმა (ISF Marlins English Language Approved Test Centre) ხელი შეუწყო უცხო ენათა დეპარტამენტს გააუმჯობესოს საზღვაო ინგლისური ენის სწავლების სტანდარტი, კერძოდ: მოახდინოს სასწავლო პროგრამის შეჯერება საერთაშორისო სტანდარტებთან, გაზარდოს სტუდენტთა მოტივაცია საზღვაო ინგლისური ენის დაუფლებაში, ჩაატაროს ტესტირება და გასცეს აღნიშნული ტიპის სერტიფიკატი, რითაც მომავალ და მოქმედ ქართველ მეზღვაურებს მიეცემა დასაქმების გაცილებით უფრო ფართო პერსპექტივა. საანგარიშო წელს მარლინსის კურსების მოთხოვნის შესაბამისად სერტიფიცირება გაიარა 196 მეზღვაურმა და სტუდენტმა.

პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება

სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, საზღვაო ნავიგაციის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის შექმნილი იქნა ტრენაჟერულ-სიმულატორული კომპლექსები და მომზადდა შესაბამისი 4 ახალი კაბინეტი:

- EGDIS – „ელექტრონული კარტოგრაფიული მოწყობილობები და ინფორმაციული სისტემა“;
- GMDSS – „საზღვაო კავშირის გლობალური სისტემა“;
- Engine Room - „გემის სამანქანე განყოფილების უახლესი ტრენაჟორი თაჩსქრინ ფუნქციით“ ;
- Cargo ballast - თხევადი ტვირთის დამუშავების ტრენაჟორი.

საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული საზღვაო პრაქტიკის კომპონენტის შესრულების მიზნით 2018 წელს საზღვაო აკადემიამ უზრუნველყო საცურაო პრაქტიკით საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტები, კერძოდ: საცურაო პრაქტიკა სასწავლო-საწვრთნელ გემზე „კადეტი“ გაიარა ნავიგაციის პროგრამის 200 სტუდენტმა, ხოლო ნავსადგურებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში საცურაო პრაქტიკა გაიარა საზღვაო მექანიკის პროგრამის 79-მა და ელექტრომექანიკის 36-მა სტუდენტმა.

კვალიფიკაციის მინიჭება

2018 საანგარიშო წელს საზღვაოსნო მეცნიერების ბაკალავრის კვალიფიკაცია (საზღვაო ნავიგაცია) მინიჭა 186 კურსდამთავრებულს, ინჟინერის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში (გემის მექანიკა) - 38, ინჟინერის ბაკალავრი საზღვაო ელექტროინჟინერიაში (გემის ელექტრომექანიკა) - 26; ინჟინერის ბაკალავრი (ნავსადგურებისა და სატვირთო ტერმინალების ექსპლუატაცია) - 4.

კონფერენციებში მონაწილეობა

2018 წლის 24-25 ნოემბერს ჩატარდა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის 8 სტუდენტმა და 7-მა პროფესორ-მასწავლებელმა;



საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის უცხო ენათა აკადემიურმა დეპარტამენტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საზღვაო უნივერსიტეტების საერთაშორისო კომპერენციაზე (IAMU), რომელიც გაიმართა 2018 წლის ოქტომბერში ბარსელონაში. პერსონალის მიერ წარდგენილი თემით „THE CASE-STUDIES BASED APPROACH IN MARITIME ENGLISH TEACHING“, ასევე სტუდენტების (ბაკალავრიატის და მაგისტრატურის) სტუდენტების მომზადებით, კერძოდ „E-PROVISION OF E-NAVIGATION STRATEGY IMPLEMENTATION“ და „APPLICATION OF ABILITY PROFILING (APRO) PSYCHOMETRIC ASSESSMENT IN MARITIME EDUCATION AND TRAINING (MET)“ საზღვაო აკადემიის წარმომადგენელმა საპრიზო პირველი ადგილი დაიმსახურა.

6.1.2 ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამები

შემუშავდა და აკრედიტაცია გაიარა ახალმა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ „ბიზნესის ადმინისტრირება“, კონცენტრირებული კომპონენტებით: „მენეჯმენტი - საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოჯისტიკა“, „მენეჯმენტი - ლოჯისტიკის მენეჯმენტი“, „ტურიზმი - საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტი“.

რედაქტირებული იქნა მოქმედი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები: „ეკონომიკა - ტრანსპორტის ეკონომიკა“, „ფინანსები - საფინანსო სამე და დაზღვევა ტრანსპორტზე“.

მიმდინარეობს მუშაობა ახალ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი და ლოჯისტიკა“.

საერთაშორისო პროექტები (პერსონალი და სტუდენტების მობილობა)

ფაკულტეტი ახორციელებდა და ახორციელებს ორ საერთაშორისო პროექტს: Erasmus + (Master in SMARt transport and LOGistics for cities / SMALOG (585832-EPP-1-2017-1-IT-EPPKA2-CBHE-JP) და საგრანტო პროექტი: „მდგრადი ტურიზმი: მეწარმეობა სოფლად და მემკვიდრეობა. ყირგიზეთს, საქართველოსა და ნორვეგიას შორის განათლების სფეროში თანამშრომლობა“ და ასრულებდა პროექტებში ჩარჩოებში ნაკისრ ვალდებულებებს.

ფაკულტეტი წარმატებით ახორციელებს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტს „სატრანსპორტო პროცესების ორგანიზაცია და მართვა“.

საერთაშორისო პროექტის Erasmus+ -ის პროექტის (Master in SMARt transport and LOGistics for cities / SMALOG (585832-EPP-1-2017-1-IT-EPPKA2-CBHE-JP) ფარგლებში ფაკულტეტის ორმა პროფესორმა გაიარა სტაჟირება გერმანიის ქალაქ ვისმარის უნივერსიტეტში, ხოლო ორმა - იტალიის ქალაქ რომის ტორ-ვერგატას უნივერსიტეტში.

საერთაშორისო პროექტების ფარგლებში ფაკულტეტის სტუდენტები მობილობის წესით მივლინებულ იყვნენ ნორვეგიაში (2 სტუდენტი) და ყირგიზეთში (2 სტუდენტი);

Erasmus+ ფარგლებში ფაკულტეტის ერთი სტუდენტი, გაცვლითი პროგრამით მივლინებულია ესპანეთის კადიზის უნივერსიტეტში, ბიზნესის ადმინისტრაციის ფაკულტეტზე.



პრაქტიკული კომპონენტი და სტაჟირება

ფაკულტეტის სტუდენტებმა გაიარეს სტაჟირება სხვადასხვა კომერციულ და სახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში (10 სტუდენტი).

პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით ფაკულტეტზე დაინერგა „ღია ლექციების“ და „პრაქტიკული მეცადინეობების“ ჩატარება ორგანიზაციებში დარგის სპეციალისტების მონაწილეობით 2 ღონისძიება: სასტუმრო „ბესთ უესტერნ პრემიერში“ და საზღვაო აკადემიის ბიზნლიოთეკაში კომპანია „მარდი ჰოლდინგი“-ს მენეჯერების მონაწილეობით.

კონფერენციებში მონაწილეობა და ორგანიზება

საანგარიშო პერიოდში ფაკულტეტი აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციისა და სხვა ღონისძიებების (სტუდენტთა დასაქმების ფორუმები, ღია კარის დღეები) ორგანიზაციის პროცესში.

2018 წლის 13-14 სექტემბერს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ უმასპინძლა პირველ სასწავლო სემინარს, რომელიც ჩატარდა Erasmus+ პროგრამის „SmaLog“ პროექტის ფარგლებში. ტრენინგის მიზანი იყო პროექტში მონაწილე პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის მომზადება/გადამზადება ლოჯისტიკის პროგრამის ფარგლებში, სასწავლო მასალების და მეთოდოლოგიის გაზიარება. ლექციებს უძღვებოდნენ ევროპის (გერმანიის, იტალიის, პოლონეთის) პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლები. სულ ტრენინგი გაიარა ფაკულტეტის თხუთმეტმა აკადემიურმა პერსონალმა.

პერსონალის მოზიდვა / კვალიფიკაციის ამაღლება

2018 წლის განმავლობაში ფაკულტეტის ხუთმა წარმომადგენელმა წარმატებით დაიცვა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

ფაკულტეტი მონაწილეობდა მოწვეული მასწავლებლების შესარჩევ კონკურსში (კონკურსის საფუძველზე შერჩეული იქნა 7 მოწვეული მასწავლებელი).

6.1.3 მაგისტრატურის სამსახური

სასწავლო პროცესზე დაკვირვების და ანალიზის შედეგად გამოვლინდა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას ზედამხედველობის გაუმჯობესების აუცილებლობა. ამ მიზნით 2018 წელს ჩამოყალიბდა მაგისტრატურის სამსახური. რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი სტრუქტურული ერთეულების პერსონალით დაკომპლექტებისთვის საკმარისი აღმოჩნდა შიდა ადამიანური რესურსი. ჩამოყალიბდა სამსახურის დებულება, მკვეთრად გაიმიჯნა ფაკულტეტების და მაგისტრატურის სამსახურის საქმიანობა, შევიდა ცვლილებები ფაკულტეტების



დებულებებში და სასწავლო პროცესის პროცედურებში. საანგარიშო პერიოდში მაგისტრატურის სამსახურის მიერ ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

- მოწესრიგდა მაგისტრატურის სტუდენტთა პირადი საქმეები;
- მაგისტრანტების პირადი საქმეების დასამუშავებლად, საგამოცდო უწყისების მოსამზადებლად და სხვა სამუშაოების საწარმოებლად დამზადდა „მაგისტრატურის სამსახურის ბეჭედი“ და განისაზღვრა მისი მოქმედების წესი;
- მომზადდა და სათანადო წესით დამტკიცდა მაგისტრატურის საფეხურის ყველა სტუდენტისთვის საერთო ე.წ. პროგრამული „თავსებადობის ბადე“, მომზადდა დასკვნა კრედიტების აღიარების შესახებ და მაგისტრატურის საფეხურის პროგრამში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა მაგისტრატურის სტუდენტების ახალ, აკრედიტებულ პროგრამებზე გადაყვანის მექანიზმი;
- შეიქმნა მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტების ელექტრონული ჟურნალი, მათი აღრიცხვიანობის და ელექტრონულად შეფასების მიზნით.

6.1.4 პროფესიული მომზადების ცენტრი

2018 წლის 11-13 ივნისს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შედგა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01.09 N59 გადაწყვეტილებით საზღვაო აკადემიას მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

პროფესიული პროგრამები და პროფესიული სტუდენტები

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) საგრანტო პროექტის ფარგლებში, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში საგაზაფხულო და საშემოდგომო პროფესიული ტესტირებებით განხორციელდა მიღება შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: ამწის ოპერატორი III და IV საფეხური, შედუღება III და IV საფეხური, თევზსაჭერი გემის ნავიგაცია V საფეხური, სატვირთო გადაზიდვების ოპერირება IV, პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი V საფეხური.

პროფესიული მომზადების ცენტრმა განახორციელა პროფესიული სტუდენტების 3 მიღება (2017 წლის საშემოდგომო და 2018 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებები). აღნიშნულ პროგრამებზე საერთო ჯამში ჩარიცხულია 215 პროფესიული სტუდენტი. 2018 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებაზე გამოცხადებული იყო 99 ვაკანტური ადგილი, რომელზეც დარეგისტრირდა 221 აპლიკანტი.

2019 წლის იანვრის მონაცემებით სწავლა დაასრულა და კვალიფიკაცია მიენიჭა 89 კუსდამთავრებულს. ჩატარდა კვალიფიკაციის ვერიფიცირების სამი აუდიტი ამწის ოპერატორის III საფეხურის, შედუღების III საფეხურის და პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის V საფეხურის პროგრამებზე საერთაშორისო ექსპერტების მიერ. სწავლის შედეგების დადასტურების საფუძველზე 44 კურსდამთავრებულს ნაციონალურ დიპლომთან ერთად გადაეცა საერთაშორისო



კვალიფიკაციის დამადასტურებელი BTEC -ის (ბიზნესის და ტექნოლოგიების საგანმანათლებლო საბჭოს) დიპლომი.

2019 წლის იანვრის მონაცემებით პროფესიულ მომზადების ცენტრში სწავლას აგრძელებს 100 პროფესიული სტუდენტი.

სასწავლო რესურსები და გარემო

პროფესიული პროგრამების (ამწის ოპერირების) შესაძლებლობების გაფართოების მიზნით შექმნილი იქნა: ამწის სხვადასხვა ტიპის (Mobile Harbor Crane and Tower Crane) პროგრამული უზნურველყოფა და თვალსაჩინოება - ამწის მცირე ზომის მაკეტი.

2018 წელს საზღვაო აკადემიამ დაგეგმა სამანქანე განყოფილების სრული რეკონსტრუქცია და გადაიარაღება. დაგეგმილია თანამედროვე დანადგარებით, სილმულატორებით აღჭურვილი სასწავლო სივრცის ჩამოყალიბება - ძირითადი და დამხმარე ძრავებით და სხვა დანადგარებით აღჭურვილი ლაბორატორიების შექმნა, რომელიც რეალურის (გემის) იდენტურია. აღნიშნული სივრცე საშუალებას მიცემს როგორც პროფესიული, ასევე ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს სრულად აითვისონ პრაქტიკული კომპონენტი, მაგისტრატურის სტუდენტებისათვის კი უზრუნველყოფს კვლევითი კომპონენტის ფარგლებში ჩართულობას.

პერსონალის გადამზადება

ამწის სილმულატორის შესაძლებლობების სრულად გამოყენების მიზნით ტრენინგი 6 პროფესიულ მასწავლებელს (დარგის სპეციალისტებს) და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის 2 წარმომადგენელს ჩაუტარდათ;

დაიგეგმა და განხორციელდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და სხვადასხვა საფეხურის სპეციალისტების გადამზადების პროცესი:

- ✓ 2018 წლის 15–16 ივნისს, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა გარე მხარდაჭერის სპეციალისტების სამუშაო ვიზიტი.
- ✓ 2018 წლის 19–20 ივნისს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა პროფესიული მასწავლებლების ტრენინგი ინდივიდუალური კონსულტირების წესით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 7 პროფესიულმა მასწავლებელმა.
- ✓ 2018 წლის 23–25 ნოემბერს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს ბიზნესის აკადემიაში ჩატარდა ტრენინგი ლოჯისტიკისა და პორტის მენეჯმენტის პროგრამის მასწავლებელთათვის. ტრენინგი გაიარა 5-მა პროფესიულმა მასწავლებელმა.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარდა ტრენინგი გენდერული თანასწორობის განათლებაში, რომელიც გაიარა პროფესიული მომზადების ცენტრის ადმინისტრაციულმა და პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა, ასევე პოტენციურმა დამსაქმებელმა.

ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

პროფესიულ მომზადების ცენტრში შემუშავდა 2 ორი ახალი მოდულური საგანმანათლებლო



პროგრამა: გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია და გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია, რომელთა ავტორიზაციის გზით დამატების განაცხადი გაიგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. 29-31 იანვრის განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი. ამ ეტაპზე ველოდებით ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას.

პრაქტიკული კომპონენტი

საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების გაუმჯობესების მიზნით საზღვაო აკადემიამ დადო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები 8 კერძო ორგანიზაციასთან:

- შპს „შპს ბლექ სი ფიშინგი“ - ყოველწლიურად 30 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „დათა-საბა“ - ყოველწლიურად 12 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ელდორადო“ - ყოველწლიურად 60 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ვიზარტი“ - ყოველწლიურად 60 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“ - ყოველწლიურად 150 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „პოსეიდონი“ - ყოველწლიურად 15 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ელიტ სერვისი“ - ყოველწლიურად 10 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“.

ცვლილებები ფუნდამენტალურ პროცედურებში

ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა და განახლდა შიდა ნორმატიული დოკუმენტაციის ფონდი:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი;
- პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის განხორციელებისა და შეფასების წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი;

გამოკითხვები

პროფესიულ მომზადების ცენტრში საანგარიშო პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და ბიზნესის კვლევის საერთაშორისო ცენტრის MCA_GORBI მიერ ჩატარდა პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების და პროფესიული ცენტრის ადმინისტრაციის გამოკითხვები (სულ 3 გამოკითხვა)

გამოკითხვის პროცესში შეფასდა ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ დაფინანსებული ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმდინარეობა და PICG პროგრამების შედეგები. მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება კვლევითი და სტატისტიკური მიზნებისთვის და ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესებას. პროფესიულმა მომზადების ცენტრმა ავტორიზაციის რეკომენდაციების საფუძველზე შეიტანა ცვლილებები გამოკითხვების (პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლის) ფორმებში, რომელიც გამოყენებული იქნება მიმდინარე გამოკითხვების პერიოდში.



6.1.5 მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრი.

2018 საანგარიშო წლის განმავლობაში მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელ და სერტიფიცირების ცენტრში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული მოკლევადიანი საწვრთნელი კურსების სასწავლო პროგრამის (სილაბუსის) ფორმის გათვალისწინებით განახლდა 25 მოქმედი კონვენციური სასწავლო კურსი და შემუშავდა 7 ახალი კონვენციური სასწავლო კურსი. სასწავლო კურსები შესრულებულია ორენოვან ფორმატში. განახლების პროცესში გათვალისწინებული იყო როგორც დოკუმენტის შემუშავების ფორმატი, რაც შინაარსობრივად სრულ შესაბამისობაშია მოყვანილი მოქმედ რეგულაციებთან, მოთხოვნებთან და სტანდარტებთან.

განახლდა შემდეგი კონვენციური მომზადების კურსები:

- Personal Survival Techniques 1.19 / პირადი გადარჩენის მეთოდები
- Fire Prevention And Fire Fighting 1.20 / ხანძრის თავიდან აცილება და ხანძართან ბრძოლა
- Elementary First Aid 1.13 / ელემენტარული პირველადი დახმარება
- Personal Safety And Social Responsibilities 1.21 / პირადი უსაფრთხოება და სოციალური პასუხისმგებლობა
- Proficiency In Survival Craft And Rescue Boats (Other Than Fast Rescue Boats) 1.23 / კოლექტიური სამაშველო საშუალებებისა და სამაშველო კატარლების მართვა (გარდა სწრაფმავალი სამაშველო კატარლებისა)
- Proficiency In Fast Rescue Boats 1.24 / სწრაფმავალი სამაშველო კატარლების მართვა
- Advanced Fire Fighting 2.03 / ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის გაფართოებული კურსი
- Shore based fire fighting simulator 1.20/2.03 / ხანძართან ბრძოლის ხმელეთზე განლაგებული ტრენაჟორული წვრთნა
- Medical First Aid 1.14 / პირველადი სამედიცინო დახმარება
- Medical Care 1.15 / სამედიცინო მომსახურება
- Basic Training For Oil and Chemical Tanker 1.01 / ნავთობმზიდი და ქიმმზიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების საბაზისო წვრთნები
- Advanced Training For Oil Tanker Cargo Operations 1.02 / ნავთობმზიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების სპეციალიზებული წვრთნა
- Advanced Training For Chemical Tanker Cargo Operations 1.03 / ქიმმზიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების სპეციალიზებული წვრთნა
- Use of Inert Gas System 1.02 / ინერტული აირების სისტემის გამოყენება
- Use of Crude Oil Washing 1.02 / ნედლი ნავთობით რეცხვის სისტემა
- Cargo And Ballast Operations 2.06 / სატვირთო და საბალასტო ოპერაციების მართვა
- Cargo Handling on Ships Carrying Dangerous And Hazardous Substances In Solid and Packaged Form (HAZMAT) 1.10 / საშიში და მავნე ნივთიერებების შეფუთული ან ნაყარი სახით გადაზიდვის მეთოდები
- Ship's handling and Maneuvering 1.22 / გემის მართვა და მანევრირება
- Use Of Electronic Chart Display And Information Systems (ECDIS) 1.27 / ელექტრონულ-კარტოგრაფიული მოწყობილობებისა და ინფორმაციული სისტემების (ეკმდის) გამოყენება



- RADAR Navigation, Radar Plotting and Use of ARPA 1.07 / რადიოლოკაციური ნაოსნობა, რადიოლოკაციური გავლება და ავტომატური რადიოლოკაციური სისტემების გამოყენება
- General Operator's Certificate For GMDSS 1.25 / კავშირისა და უსაფრთხოების საზღვაო გლობალური სისტემის ზოგადი ოპერატორის კურსი
- GMDSS REFRESH 1.25 / GMDSS რადიო ოპერატორი
- Engine Resource Management Including Leadership and Teamworks Skills 2.07 / სამანქანე განყოფილების რესურსების მართვა, ხელმძღვანელობის და გუნდური მართვის უნარ - ჩვევების ჩათვლით
- High Voltage / მაღალი ძაბვა
- Ship Security Officer 3.19 / გემის უშიშროების ოფიცერი

შემუშავდა შემდეგი კონვენციური საწვრთნელი კურსები:

- Basic Training for Liquefied Gas Tanker Cargo Operations 1.04 / თხევადი აირშიდი ტანკერების სატვირთო ოპერაციების საბაზისო წვრთნა
- Advanced Training for Liquefied Gas Tanker Cargo Operations 1.06 / თხევადი აირშიდი ტანკერების სატვირთო ოპერაციების სპეციალიზირებული წვრთნა
- Basic Training for ships Operating in Polar Waters / გემის პოლარულ წყლებში ექსპლუატაციის გაცნობითი კურსი
- Advanced Training for ships Operating in Polar Waters / გემის პოლარულ წყლებში ექსპლუატაციის გაფართოებული კურსი
- Marine Automation and Control System / საზღვაო ავტომატიზირებისა და მართვის სისტემის წვრთნა
- Hydraulic system/machinery course / ჰიდრავლიკური სისტემების / მექანიზმების კურსი
- ელემენტარული პირველადი დახმარება, გულ-ფილტვთა რეანიმაცია/ დეფიბრილატორი Elementary First Aid, CPR/AED

მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელ და სერტიფიცირების ცენტრში შემუშავდა შემდეგი მოკლევადიანი არაკონვენციური საწვრთნელი კურსი:

- Chemical tanker Cargo Ballast Handling Simulator 1.37 / ქიმიური ტანკერის სატვირთო და ბალასტის ოპერაციების მართვის სიმულატორი
- Risk Assessment and Incident Investigation / რისკის შეფასება და ინციდენტის გამოკვლევა
- SMS/ISM- CODE / უსაფრთხო მართვის სისტემა/საერთაშორისო უსაფრთხო მართვის კოდექსი
- Marpol 73/78 / გემებიდან ზღვის დაჭუჭყიანების თავიდან აცილება
- Shipboard Safety Officer / უსაფრთხოების ტექნიკის ოფიცერი
- Port Facility Security Officer PFSO 3.21 / ნავსადგურის საშუალებების უსაფრთხოების ოფიცერი
- Emergency Oil Spill Response and Preparedness / ნავთობის ავარიულ დაღვრაზე რეაგირება და მზადყოფნა
- Ship to ship (STS) Transfer Operations / გემიდან გემზე გადატვირთვის ოპერაციები
- Ice navigation / ნაოსნობა ყინულოვან პირობებში

ND 2-O06-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №11

რევიზიის თარიღი 15.02.2019

მოქმედებაშია 25.01.2003



- International Maritime Dangerous Goods Code / საერთაშორისო საზღვაო სახიფათო ტვირთების კოდექსი
- Elementary First Aid, CPR/AED / ელემენტარული პირველადი დახმარება, გულ-ფილტვთა რეანიმაცია/დეფიბრილატორი

მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელ და სერტიფიცირების ცენტრში განახლდა სიმულატორების პროგრამული უზრუნველყოფა დარგის უახლესი მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ:

- ECDIS - სრულად მოხდა განახლება ახალი მოთხოვნების შესაბამისად;
- GMDSS - კავშირისა და უსაფრთხოების საზღვაო გლობალური სისტემის ზოგადი ოპერატორის კურსი - (შემენილია TGS-5000 ვერსია);
- Cargo and Ballast Handling სატვირთო და საბალასტო ოპერაციების მართვა (ინსტალირებულია ახალი ვერსია - LCHS Techseem 5000);
- Elementary First Aid, CPR/AED - ელემენტარული პირველადი დახმარება, გულ-ფილტვთა რეანიმაცია/ დეფიბრილატორი (შემენილია დეფიბრილატორი).

2018 საანგარიშო წლის განმავლობაში მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელ და სერტიფიცირების ცენტრში წვრთნა ჩატარდა 11732 მსმენელს და განხორციელდა 1293 მოკლევადიანი სასწავლო-საწვრთნელი კურსი.

2018 წლის 27-28 სექტემბერს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრში ჩატარდა დინამიური პოზიციონირების კურსების აკრედიტაცია "Nautical Institute"-ის ექსპერტ-აუდიტორების მიერ (Peter Corbett- პიტერ კორბერტი - ტექნიკური აუდიტორი და Michael Ryden მიხაელ რაიდერი - ადმინისტრაციული აუდიტორი). წარმართა ძირითადი და სიმულატორული კურსები, რომელიც ჩაატარა რუმინეთის საზღვაო კოლეჯის დინამიური პოზიციონირების ინსტრუქტორმა ლორენცო ბადეამ. "Nautical Institute"-ის ექსპერტების ადმინისტრაციული და ოპერაციული დოკუმენტაციის წარმოების და ტრენინგის პროცესის მიმდინარეობის შეფასების და რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმა, წადგენილი ცვლილებების საფუძველზე საზღვაო აკადემიის სერტიფიცირების ცენტრს მიეცა უფლება გააგრძელოს დინამიური პოზიციონირების კურსების ჩატარება მომდევნო 3 წლის ვადით.

2018 წელს აკადემიას გადაეცა სასწავლო-საწვრთნელი გემი „კადეტი“, რომელიც სტრუქტურულად შევიდა მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრის დაქვემდებარებაში. სარემონტო და ტექნიკურ სამუშაოებთან ერთად შემუშავდა გემის ნორმატიული დოკუმენტაცია, კერძოდ ხარისხის სახელმძღვანელო და მოქმედი საანგარიშო ფორმები.

6.1.6 სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობის და შეფასების დეპარტამენტი

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვაო აკადემიაში სულ უფრო მეტად იმკვიდრებს ფეხს ელექტრონული სერვისები, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ინფორმაციის მოძიებას და ერთ საინფორმაციო სივრცეში იძლევა მრავალრიცხოვანი ინფორმაციის განთავსების, მოძიების, გაზიარების, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების და შედეგების ანალიზის საშუალებას, როგორცაა



სტუდენტების შიდა რეესტრის წარმოება, სტუდენტების მოსწრება, ინფორმაცია ჯგუფების და ცხრილების თაობაზე, სტუდენტების დასწრების და შეფასების მონაცემები, მეცადინეობების და გაცდენილი მეცადინეობების ანაზღაურების მონაცემები, პროფესორ-მასწავლებლების და მოწვეული მასწავლებლების დატვირთვები, სილაბუსების წარმოების და განახლების ფუნქციური შესაძლებლობები, საბიბლიოთეკო რესურსების გადამოწმების ფუნქცია და ა.შ, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს მონიტორინგის და კონტროლის პროცესს და იძლევა მონაცემების მოძიების საშუალებას უმოკლეს ვადებში.

2018 საანგარიშო წელს სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობის და შეფასების დეპარტამენტის ელექტრონულ სერვისებს დაემატა შემდეგი ახალი ფუნქციები:

- სტუდენტების გამოცდების დროის და თანმიმდევრობის არჩევის შესაძლებლობა;
- საგამოცდო ბილეთების დამუშავების ონლაინ სისტემა, რომლის იძლევა მრავალვარიანტული საგამოცდო ბილეთების შემუშავების საშუალებას (ძირითად და დამატებით გამოცდებზე სხვადასხვა ვარიანტების შეთავაზების საშუალება);
- მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტების მისაღები გამოცდების ორგანიზება;
- მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთა ელექტრონული ჟურნალის დანერგვა, ელექტრონული რეგისტრაციის ორგანიზება;
- სტუდენტების ნაშრომების ელექტრონული გასწორება.

ელექტრონული სისტემა იძლევა საშუალებას სწრაფად განხორციელდეს სტუდენტების აკადემიური და ფინანსური რეგისტრაცია და პროცესის მონიტორინგი, კერძოდ 2017-2018 სასწავლო წლის II სემესტრი - აკადემიური რეგისტრაცია გაიარა 2126 სტუდენტმა, რეგისტრაციის ჩანაწერთა საერთო რაოდენობა 10877 და 2017-2018 სასწავლო წლის საზაფხულო სემესტრი - აკადემიური რეგისტრაცია გაიარა 87 სტუდენტმა, რეგისტრაციის ჩანაწერთა საერთო რაოდენობაა 131.

სისტემა ვრცელდება ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულ უფლების მქონე აბიტურიენტების პირველად რეგისტრაციაზე (2018-2019 სასწავლო წელს ჩარიცხა 500 სტუდენტი) და მობილობის პროცესზე (2018-2019 სასწავლო წელს მობილობით ჩარიცხა 83 სტუდენტი).

ელექტრონული სისტემა იძლევა აკადემიური ჯგუფებისა და სასწავლო ცხრილის შედგენის საშუალებას, მათი რაოდენობების განსაზღვარა და აუდიტორიული სამუშაოების მარტივად დაგეგმვის საშუალებას. მაგალითად, 2017-2018 სასწავლო წლის II სემესტრში შედგა 866 საგნობრივი ჯგუფი, რაც ფარავდა 144 სასწავლო კურსს და სასწავლო კურსებს გაუძღვა 155 ლექტორ-მასწავლებელი, ხოლო 2017-2018 სასწავლო წლის საზაფხულო სემესტრში შედგა 59 საგნობრივი ჯგუფი, 53 სასწავლო კურსი, რომლებსაც გაუძღვა 30 ლექტორ-მასწავლებელი.

ელექტრონული სისტემა იძლევა პროფესორ-მასწავლებლების დეპარტამენტის მიერ კორესპონდენციის წარმოების, დეპარტამენტის ინფორმირებას ლექციების აღდგენის, გადატანის, დამატებითი მეცადინეობების და კონსულტაციების ჩატარების, შეცდომების დაფიქსირების და აღმოფხვრის საშუალებას. 2018 წლის განმავლობაში დამუშავდა პროფესორ-მასწავლებელთა მიერ ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირებული 1060 წერილი.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარებას, საგამოცდო ბილეთის (ტესტის) ვარიანტებად ფორმირებას და ბილეთების ბეჭდვას.



2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შუალედურ ტესტირებაზე დამუშავდა 130 სასწავლო კურსის 11572 ტესტი, გამოცდა ჩაუტარდა 1874 სტუდენტს, ხოლო 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრში 144 სასწავლო კურსის დასკვნითი გამოცდა ჩაუტარდა 2084 სტუდენტს.

6.1.7 სტუდენტთა სერვისების და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტი

აკადემიაში სტუდენტთა მხარდაჭერას და საკონსულტაციო მომსახურებას უშუალოდ კურირებს სტუდენტთა სერვისების და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტი, რომელიც 2018 წლის პირველ თებერვლამდე არ ფუნქციონირებდა ცალკე სტრუქტურულ ერთეულად. დეპარტამენტის შექმნის უმთავრეს მიზნებად განისაზღვრა აკადემიის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტრატეგიების შემუშავება, სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, მჭიდრო კონტაქტის დამყარება საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ბიზნეს სექტორთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ერთიანი ბაზის შექმნა, სტუდენტთა ელექტრონული სერვისების შექმნა და პროგრამული უზრუნველყოფა, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების (ტუტორიუმი) დანერგვა. აკადემიაში კურიკულუმს გარე დაგეგმილი აქტივობების - (სპორტული, სახელოვნებო, შემეცნებითი) განვითარების ერთიანი სტრატეგიის შემუშავება და აკადემიის სპორტული და შემოქმედებითი საქმიანობის პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის მიერ განხორციელებული იყო შემდეგი სპორტული, შემეცნებითი, კულტურული, საინფორმაციო ღონისძიებები და აქტივობები:

- აკადემიის სტუდენტური კლუბების მონაწილეობა საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა სპორტულ შემეცნებით აქტივობებში;
- აკადემიის სტუდენტური სერვისების ორგანიზებით ინტელექტუალური თამაშების „რა? სად? როდის?“ ორგანიზება და მონაწილეობა, სტუდენტების აქტიური ჩართულობა და მათი მოტივაციის ამაღლება ჯილდოებით და ფასიანი საჩუქრებით, შედეგად საპრიზო ადგილების მოპოვება;
- საზღვაო აკადემიამ დაიკავა გუნდური მეორე ადგილი ხოლო გამარჯვება მოიპოვეს ბილიარდის, მუსიკალური ნომრის და ორიგინალური ნომრის წარმომადგენლებმა;
- საზღვაო აკადემიის სტუდენტური გუნდი მონაწილეობდა ტურნირში პორტუგალიის ქ. ნაზარეში გამართულ ევროპის ჩემპიონთა თასზე, „Euro Winners Cup 2018“, სადაც ევროპის ყველა ქვეყანა იყო წარმოდგენილი და ვიცე ჩემპიონის სტატუსი მოიპოვა;
- აკადემიის ფუტზალის სტუდენტური გუნდი მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ჩემპიონატზე საპლაჟო ფეხბურთში, სადაც მოიპოვა საქართველოს პრიზიორის სტატუსი და მიიღო ევროპის ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობის უფლება, სადაც ევროპის 75 ქალაქია წარმოდგენილი;



- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და აჭარის საპლაჟო ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო ტურნირი საპლაჟო ფეხბურთში, სადაც საზღვაო აკადემიის სტუდენტებმა დაიკავეს მეოთხე ადგილი და ნახევარფინალიდან გამოეთიშნენ ასპარეზობას.

მიმდინარე წლის ოქტომბრის თვე საკმაოდ აქტიური და ნაყოფიერი იყო საზღვაო აკადემიის სტუდენტებისათვის. სტუდენტთა სერვისებისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის მიერ, სტუდენტური სერვისების წლიური სამუშაო გეგმის მიხედვით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გაიმართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ყველა პირველკურსელთან;
- გაიმართა შეხვედრა გაიმართა ყველა პირველკურსელთან ცალკეულ სექციებში განაწილების მიზნით (ვის რა სექციაში სურდა გაწევრიანება);
- შეიქმნა ტუტორთა ჯგუფი;
- შეიქმნა ეკო კლუბი და დაიგეგმა ღონისძიებები;
- ქასთინგის საფუძველზე შეირჩეული იქნა მუსიკალური ბენდის ახალი წევრები;
- დასრულდა რეგისტრაცია და დაიგეგმა ინტელექტუალური თამაშების განრიგი;
- დაიგეგმა და მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე: **“შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვაო უნივერსიტეტების სტუდენტური ფესტივალი,”** რომელიც განხორციელდება 2019 წლის მარტში.

დეპარტამენტის საქმიანობა აგრეთვე აისახა სტუდენტების სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობის მიზნით. სტუდენტები მონაწილეობდნენ საერთაშორისო სტუდენტურ დღეებში, ეზიარენ მწვანე კლუბის საქმიანობას, ღებულობენ სამაგალითო მონაწილეობას ქალაქის დასუფთავების აქციებში.

დეპარტამენტი ახორციელებდა გაცნობითი ხასიათის ღონისძიებებს სტუდენტების დასაქმების კუთხით. მაგალითად, 2018 13 ნოემბერს, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, სტუდენტური სერვისების ორგანიზებით გაიმართა პროგრამის Work and Travel USA (იმუშავე და იმოგზაურე ამერიკაში) პრეზენტაცია. პრეზენტაციის შემდეგ დაინტერესებულ სტუდენტებს ჩაუტარდათ გასაუბრება და ისინი მოემზადებიან შემდეგი ეტაპისათვის.

დეპარტამენტი ორგანიზაციას უწევდა სტუდენტების შეხვედრას და მათ მჭიდრო კონტაქტს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასოცირების ხელშეკრულების შესრულების ფარგლებში მოქალაქეების ჩართულობის გაზრდის კუთხით გარემოსდაცვის, ნარჩენების მართვის, განათლების, კულტურის საზღვაო ტრანსპორტის მიმართულებით.

ინტელექტუალური თამაშების და სტუდენტური ცხოვრების წახალისების მიზნით დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული იყო შიდასაფაკულტეტო ჩემპიონატი ჭადრაკში, ლიტერატურული სადამოეხი და სხვა.

სპორტული წარმატებებიდან უნდა აღინიშნოს აკადემიის სასწავლებლის ფუტზალის გუნდის მიერ მოპოვებული საქართველოს თასის ვიცე ჩემპიონის სტატუსი 40 უნივერსიტეტს შორის. ფინალის საუკეთესო მოთამაშის ჯილდო გადაეცა აკადემიის გუნდის ვიცე კაპიტანს ლაშა ლომამეს.



სტუდენტთა ფასილიტაციის, ინტეგრირების, მათი აკადემიურ საქმიანობაში დახმარების მიზნით, პირადი და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის კუთხით, აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში მათი ჩართულობის ზრდის მიზნით 2018 წლის საზღვაო აკადემიაში შეიქმნა ტუტორთა ჯგუფი. შერჩეულ იქნა 30 აქტიური და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები, გაიმართა 3 სამუშაო შეხვედრა. მათ შორის სტუდენტებს ჩაუტარდათ ტრენინგი ტუტორთა ფუნქციებისა და უფლებამოსილების შესახებ. აღნიშნულმა სტუდენტებმა შეიმუშავეს წესდება და განახორციელეს რამოდენიმე ღონისძიება.

სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა აჭარის განათლების ფონდთან, TOEFL-ის უფასო კურსების თაობაზე, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს უცხო ენის პრაქტიკულ უნარებს როგორც სტუდენტების, ასევე ადმინისტრაციის და პროფესორ-მასწავლებლებელთა შორის.

დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაცია SAORSA-სთან და სტუდენტებს უტარდებათ პროექტების მართვის შემსწავლელი კურსები.

2019 წლის დასაქმების ფორუმისთვის კარიერული მხარდაჭერის სამსახური გეგმავს კითხვარის მომზადებას დამსაქმებლისთვის მათთან სასურველი თანამშრომლობის ფორმის გამოვლენის და დამსაქმებლის ერთიანი ბაზის შედგენის მიზნით. აგრეთვე სტუდენტებისათვის იგეგმება ტრენინგები CV-ს და რეზიუმეს წერის ტექნიკაში და მათ მიეწოდებათ ინფორმაცია CV-ს სხვადასხვა ფორმატების და დიზაინების შესახებ.

6.1.8 მნიშვნელოვანი ღონისძიებები და ინტერნაციონალიზაცია

2018 წელი ნაყოფიერი, წარმატებული და მნიშვნელოვანი იყო საზღვაო აკადემიისთვის. აკადემიის პოპულარიზაციის და საზღვაო განათლებაში მისი მნიშვნელოვანი როლის გაძლიერების მიზნით საზღვაო აკადემიამ საზოგადოებათან ურთიერთობის კუთხით განახორციელა შემდეგი აქტივობები, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ: მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენებში, მათ შორის სამეცნიერო და განათლების ფორუმებში და კონფერენციებში, უმასპინძლა დასაქმების და ბიზნეს ფორუმს:


- სასწავლო-საწვრთნელი გემი „კადეტის“ გადმოცემის ცერემონია;
- დამსაქმებელთა ფორუმი 2018;
- 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე;
- საერთაშორისო გამოფენა - POSIDONIA 2018;
- მეზღვაურთა დღე;
- ბიზნეს კონფერენცია - ჩვენ პროფესიონალები ვართ;
- მეცნიერებისა და განათლების ფორუმი;
- EXPO BATUMI 2018;
- IAMU 2018 - სტუდენტური კონფერენცია;

საზღვაო აკადემიამ 2018 წელს 30 სკოლაში ჩაატარა ღია კარის დღე. აგრეთვე მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა კუთხიდან მოწვეულ მოსწავლეებს საშუალება ეძლეოდათ ადგილზევე გაცნობოდნენ აკადემიის სასწავლო ინფრასტრუქტურასა და ლაბორატორიებს. დამზადდა სხვადასხვა სახის სარეკლამო - ბეჭდური მასალები.



ჩატარდა სხვადასხვა სახის მედია აქტივობები.

2018 წლის განმავლობაში, დაახლოებით 80-ჯერ გავრცელდა სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მედია საშუალებებით: ტელევიზია, რადიო, სოციალური ქსელი, ინტერნეტ საინფორმაციო სააგენტოები, ბეჭდური მედია.



მომზადდა საიმიჯო ვიდეო და ფოტო მასალა:

- ✓ საერთო საიმიჯო ვიდეო რგოლი - ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ✓ პროფესიული მომზადების ცენტრის საიმიჯო ვიდეო რგოლი;
- ✓ IAMU-ს კონფერენციაზე წარსადგენი საიმიჯო ვიდეო რგოლი;
- ✓ ფოტო კოლაჟი აკადემიის პირველ სართულზე;
- ✓ საინფორმაციო აბრევირები აკადემიის თითოეულ კაბინეტზე.

ჩატარდა PR კამპანია:

- ✓ რუბრიკა „ჩვენი სტუდენტები“;
- ✓ ღია კარის დღეები: „გახდი ერთი დღე საზღვაო აკადემიის სტუდენტი“;
- ✓ პროფესიული მომზადების სტუდენტების პროფაილების წერა;
- ✓ ეტაპობრივად ვიდეო რგოლის მომზადება არსებულ ლაბორატორიებზე და სიმულატორებზე;

სხვა ღონისძიებები, რომელიც დაიგეგმა და განხორციელდა ყველა გაშუქდა და დაიდო შესაბამის საინფორმაციო გვერდებზე.

გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, მათ შორის:

- ✓ უცხოეთის სასწავლო დაწესებულებები - 6;
- ✓ საქართველოში არსებული სასწავლო და სხვა ორგანიზაციები - 10;

აღსანიშნავია, რომ კვარტალურად და წლიურად ხორციელდება სტატისტიკური მონაცემების

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №11

რევიზიის თარიღი 15.02.2019

მოქმედებაშია 25.01.2003



მოპოვება, შევსება და გაგზავნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ ცენტრში. პერიოდულად ხდება შიდა სტატისტიკური მონაცემების განახლება და პრეზენტაციის სახით მომზადება.

ინტერნაციონალიზაცია

2018 წელს საზღვაო აკადემიამ ჩამოაყალიბა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც საფუძვლად დაედო ინტერნაციონალიზაციის თანმიმდევრულ და მიზანზე ორიენტირებულ საქმიანობას.

2018 წლის განმავლობაში როგორც წინა წლებში მიმდინარეობდა დაწყებული პროექტების შესრულება, ასევე საფუძველი ჩაეყარა ახალ წამოწყებებს და სხვადასხვა ფორმატის ურთიერთობებს. კერძოდ,

2016-2019 სასწავლო წლების განმავლობაში ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია აქტიურად იყო ჩართული ნორვეგიულ პროექტში „Sustainable tourism: Rural Entrepreneurship and Heritage“. აკადემიის პროექტში ჩართულობის მანძილზე ნორვეგიის პროექტის მობილობაში ჩაერთო ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის 10 სტუდენტი, 1 ადმინისტრაციული და 4 აკადემიური პერსონალი.

2017-2020 სასწავლო წლების განმავლობაში ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია აქტიურად არის ჩართული Erasmus+ CBHE “SmaLog “ პროგრამაში. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მრავალი მობილობის პროექტი როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის. ამ წლების მანძილზე საზღვაო აკადემიიდან პროექტის მობილობით ისარგებლა ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის 11 სტუდენტმა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადდა ლოჯისტიკის სასწავლო მოდული, რომელზე ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით. ამასთან დაკავშირებით ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ განახორციელა 2018 წელს 1 სტუდენტის, 2 აკადემიური პერსონალისა და 1 ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა.

გარდა ამისა, 4-მა აკადემიურმა პერსონალმა გაიარა სასწავლო პრაქტიკა ვისმარისა და ტორ ვერგატას უნივერსიტეტებში.

2018 საზღვაო აკადემია ჩაერთო Erasmus+ ICM: University of Cadiz პროექტში. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სტუდენტების და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას. მიმდინარე წელს მობილობის ფარგლებში კადიზის უნივერსიტეტში გაემგზავრება 2 ადმინისტრაციული პერსონალი და ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტიდან აკადემიის 1 სტუდენტი.

2018 წელს საზღვაო აკადემიამ დაიწყო თანამშრომლობა გერმანულ ორგანიზაცია DAAD-თან. მათ ორგანიზებულ ვორკშოპზე „გერმანული ენა ტურიზმის სფეროში“ უკვე იმყოფებოდა აკადემიის 2 სტუდენტი. ასევე 1 აკადემიური პერსონალი იმყოფებოდა ტრენინგზე „გერმანული ენა სწავლების პროცესში“. DAAD-ის საზაფხულო სკოლის პროექტში განაცხადი შეიტანა აკადემიის ორმა სტუდენტმა.

2018 წელს გაფორმდა მემორანდუმი შანხაის საზღვაო უნივერსიტეტთან, ფლენსბურგის უნივერსიტეტთან და ვროცლავის უნივერსიტეტთან. ფლენსბურგის უნივერსიტეტის 2 პროფესორი ეწვია აკადემიას ღია ლექციებით, ხოლო ვროცლავის უნივერსიტეტის ინგლისური ენის პროფესორმა საზღვაო აკადემიის უცხო ენების აკადემიური დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებს ჩაუტარა ტრენინგი სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიაში.



საერთაშორისო ღია ლექციების გარდა, აკადემიამ ღია ლექციების ფორმატში მოიწვია ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, რომელმაც წაიკითხა ლექციები ფიზიკის საკითხებზე. 2017 წელს კომპანია HIUNDAY GLOVIS-თან გაფორმდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც კომპანიამ აირჩია 4 სტუდენტი სასწავლო პრაქტიკის გავლის მიზნით.

საზღვაო აკადემიის დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა 2018 წ. IAMU -ს კონფერენციაზე. საზღვაო აკადემიამ სხვა IAMU-ს წევრ უნივერსიტეტებთან ერთად (9 პრეტენდენტი უნივერსიტეტი) მიიღო მონაწილეობა ღია კონკურსში 2020 წელს მასპინძელი უნივერსიტეტის წოდების მოსაპოვებლად და გაიმარჯვა. 2018 წ. IAMU-ს საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღო აკადემიის სამმა სტუდენტმა, სადაც საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტმა დაიმსახურა საპატიო საპრიზო ადგილი. აკადემიის საზღვაო -საინჟინრო ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა მიიღო მონაწილეობა IAMU-ს მიერ ინიცირებული და შემუშავებული პროექტის GEAMET FY 2017 შეფასებაში და დაიმსახურა IAMU-ს საფატიო ექსპერტის წოდება.

საზღვაო აკადემიის რექტორის მოადგილემ მონაწილეობა მიიღო IMLA-ს კონფერენციაში, სადაც წარადგინა პრეზენტაცია ღონისძიების მასპინძლობის შესახებ. საზღვაო აკადემიამ წარმატებით გაიარა ეს კონკურსიც და 2019 წლის სექტემბერში IMLA-ს უმასპინძლებს საზღვაო აკადემია.

აკადემიის დელეგაცია იმყოფებოდა სამუშაო ვიზიტით ქალაქ ტალინში სადაც ეწვია ესტონეთის საზღვაო აკადემიას. დაიგეგმა თანამშრომლობითი ურთიერთობა პერსონალის გადამზადების კუთხით. ასევე ტალინის ტექნიკურ სასწავლებელში განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტზე მოხდა შეთანხმება, რომ სასწავლებლის ლექტორი ტატიანა სიდრენკო 2019 წლის აპრილში ეწვევა აკადემიას და პნევმატიკა/ჰიდრაულიკის ლაბორატორიებში მუშაობის გამოცდილებას გაუზიარებს აკადემიის პედაგოგებს.

ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში საზღვაო აკადემიამ 2018 წელს დაიწყო მუშაობა ერთობლივ ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე საზღვაო ნავიგაცია, პლიმუთის უნივერსიტეტთან ერთად და ფლინსბურგის უნივერსიტეტთან ერთად საზღვაო ნავიგაციის და გემის მექანიკის საბაკალავრო პროგრამებზე.

საზღვაო და საინჟინრო პროფესიებში ქალთა როლის ხელშეწყობის და გოგონა სტუდენტების მოზიდვის და პოპულარიზაციის მიზნით ათასწლეულის ფონდის და ამერიკის საელჩოს დაფინანსების და World link-ს ორგანიზებით საზღვაო აკადემიის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო გაცვლით პროგრამაში, რომელშიც ჩართული იყო საქართველოს 10 პროფესიული სასწავლებლები და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები. ამერიკულმა გამოცდილებამ ხელი შეუწყო ახალი პროფესიების პოპულარიზაციას და ამერიკული გამოცდილების შესაბამისად საზღვაო აკადემიამ შეიმუშავა სხვადასხვა სახის ახალი აქტივობების ქალების მოზიდვის და ხელშეწყობის კუთხით.

2019 წლის 23 იანვარს აკადემიის დელეგაცია იმყოფებოდა BSAMI-ის შეხვედრაზე სტამბულში. დელეგაცია გაეცნო ორგანიზაციის მიმდინარე საკითხებს და სამომავლო გეგმებს.

საზღვაო აკადემიის 2 ინსტრუქტორი გაემგზავრა ტალინის უნივერსიტეტში თხევადი აირმზიდი ტანკერების სატვირთო ოპერაციების საბაზისო წვრთნის ტრენინგზე. მათ უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს.

2019 წლის 26 თებერვალს საზღვაო აკადემიის ორგანიზებით სასტუმრო „შერატონში“ ჩატარდება „დამსაქმებელთა და საერთაშორისო განათლების ფორუმი“. ფორუმზე დაესწრება 100-მდე



ორგანიზაცია, როგორც საჯარო ასევე კერძო სფეროდან. ფორუმზე მოეწყობა საგამოფენო სივრცე, სადაც კომპანიები გაესაუბრნენ სტუდენტებს და მნიშვნელოვნად გაზრდის საზღვაო აკადემიის სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობებს.

6.2. შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია

საანგარიშო პერიოდში შეიქმნა ახალი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია (ხარისხის, ფუნდამენტალური, ორგანიზაციული) და მოქმედ ვერსიებში შევიდა ცვლილებები:

- ხარისხის სახელმძღვანელო;
- მომსახურების მონიტორინგის პროცესის პროცედურა;
- სენატის რეგლამენტი;
- შინაგანაწესი;
- სენატში ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლების არჩევნების წესი და საარჩევნო პროცედურა;
- განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- სამწლიანი სამოქმედო გეგმა;
- საზღვაო აკადემიის წლიური გეგმა;
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის შედეგების ანგარიში;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურა;
- ელექტრონული საქმის წარმოების წესი;
- აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი;
- დებულება დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;
- პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი;
- ეთიკის კოდექსი;
- საზღვაო აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა; და ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესი;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგის ელექტრონული სისტემის წარმოების წესი;
- ბიუჯეტის შემუშავების წესი;
- პლაგიატის პრევენციისა და რეაგირების წესი;
- სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების პროცედურა;
- სასწავლო პროცესის პროცედურა. საბაკალავრო სწავლების საფეხური;
- პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის განხორციელებისა და შეფასების წესი;
- სასწავლო პროცესის პროცედურა. სამაგისტრო სწავლების საფეხური;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა;
- და განვითარების წესი პროგრამული თავსებადობის განსაზღვრისა, სწავლის შედეგების და კრედიტების აღიარების წესი;



- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არაფორმალური განათლების აღიარების წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვებისა და შეფასების წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- განახლდა სამსახურების დებულებები და პერსონალის უფლება-მოვალეობები;
- განხორციელებულ ცვლილებებთან ერთად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა;

ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესასრულებლად, კერძოდ შემუშავების რეჟიმშია შემდეგი დოკუმენტაცია:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვებისა და შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი;
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებისა და დაფინანსების წესი;
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესი;
- რისკების რეესტრი და რისკების მენეჯმენტი;
- წვრთნის სააღრიცხვო წიგნაკის (Training Record Book) გაცემის, აღრიცხვის, შევსების და ჩანაწერების აღიარების წესი.

მუდმივი განახლების პროცესშია ნორმატიული დოკუმენტაციის გარე და შიდა ფონდი (Master list). ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ასახულია აღნიშნულ რეესტრში, დოკუმენტების მართვის პროცედურის შესაბამისად აისახება დოკუმენტაციის ელექტრონულ ფონდში, ვებ-გვერდზე და სამუშაო ფოსტის მეშვეობით ეგზავნებათ პროცესზე პასუხისმგებელ და პროცესში ჩართულ პერსონალს.

6.3. ბიბლიოთეკა

2018 წლის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად აკადემიის ბიბლიოთეკამ შეასრულა შემდეგი მიმდინარე სამუშაოები: აკადემიის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის სისტემატიზირება, წიგნადი ფონდის განვითარების სამუშაოები, ელექტრონული სამეცნიერო ბაზების განახლება, პერსონალის ტრენინგი, ელექტრონული კატალოგის წარმოება და სხვ.

2018 წ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო 519 წიგნადი ერთეულით. მოხდა აღნიშნული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული დამუშავება, მომზადდა კატალოგები, დამუშავებული ლიტერატურა საინფორმაციო სისტემით ეცნო ბიბლიოთეკის მომხმარებლებს.

პარალელურად მიმდინარეობდა წიგნადი ფონდის განახლებისა და ფორმირების სამუშაოები. შემუშავდა შესაძენი ლიტერატურის ახალი ჩამონათვალი - კონსოლიდირებული სია. რომელთა



შედგენაში აქტიურად იყო ჩართული აკადემიური პერსონალი, მოწვეული მასწავლებლები, პროფესიული და მეზღვაურთა მომზადების, წვრთნის და სერტიფიცირების ცენტრი და აკადემიის ადმინისტრაცია. 2019 წლისათვის შესაძებნად გამზადებული ლიტერატურა თვისებრივად შეცვლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შინაარსსა და სისტემას.

საქართველოს განათლების სისტემის რეფორმირებამ დღის წესრიგში დააყენა აკადემიის საზოგადოების სამეცნიერო თანამშრომლობაში ჩართვის აუცილებლობა, ჩვენს მიერ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან თანამშრომლობით, შეძენილი იქნა სამეცნიერო ელექტრონული ბაზების პაკეტი, რომელიც შერჩეული იქნა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის პროფილის გათვალისწინებით. ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ჩაუტარდათ შესაბამისი წვრთნა.

ბსსა აკადემიის ბიბლიოთეკა სისტემატიურადაა ჩართული და ახორციელებს თავისუფალ წვდომას საინფორმაციო, სამეცნიერო და პროფესიული ელექტრონული ბაზების მოძიების საქმეში. საანგარიშო პერიოდში მოძიებული, დამუშავებული და ბიბლიოთეკის ვებგვერდზე განთავსებული იქნა სამი სამეცნიერო პორტალი და ჟურნალი. ორი საზღვაო სამეცნიერო პრაქტიკული რესურსი ინგლისურ და რუსულ ენებზე.

ბიბლიოთეკა აქტიურად მუშაობდა შიდა ელექტრონული რესურსების ფორმირების საკითხებზე. რეალურად შეიქმნა შიდა ელექტრონული მიწოდების პერსონალური სისტემა, რომელიც პერსონალური ინფორმაციის წესების დაცვის საფუძველზე უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის მომხმარებელთა შიდა ელექტრონული რესურსების გამოყენებას. განახლდა სილაბუსები, სალექციო კურსები, პროფესიული და საბაკალავრო პროგრამების სასწავლო ლიტერატურა. გადამოწმდა ელექტრონული რესურსების შესაბამისობა სასწავლო სილაბუსებთან მიმართებაში.

ბსსა ბიბლიოთეკაში სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ ძალიან დაბალია როგორც წიგნადი ასევე ელექტრონული რესურსების გამოყენების სტატისტიკა. კატასტროფულად დაბალია ელექტრონული-სამეცნიერო ბაზების გამოყენების სტატისტიკა. ამ მიზნით ყველა სტრუქტურულ ერთეულს გვესაჭიროება საინფორმაციო სამუშაოების ჩატარება. ჩვენი რეკომენდაციით სტუდენტების სამეცნიერო, საკონფერენციო და სამაგისტრო ნაშრომებში აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ბიბლიოთეკაში არსებული სამეცნიერო ბაზები.

ბიბლიოთეკაში პერიოდულად მიმდინარეობს პერსონალის ტრენინგი. ტრენინგები ტარდება როგორც ბსსა ბიბლიოთეკის ბაზაზე ასევე საქართველოს წამყვანი სამეცნიერო ბიბლიოთეკებში.

აკადემიის ბიბლიოთეკა წლის დასაწყისში ახორციელებს მომხმარებელთა ხელახალ რეგისტრაციას, ასევე სასწავლო წლის დასაწყისში ხორციელდება პირველკურსელთა რეგისტრაცია. მკითხველთა რეგისტრაცია მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში. ამჟამად აკადემიის ბიბლიოთეკაში დარეგისტრირებულია 2566 მკითხველი. რაც ჩვენი სასწავლებლის სტუდენტთა და პერსონალის 63 % შეადგენს.

პერიოდულად ბიბლიოთეკას მოეწოდება ახალი ლიტერატურა, მიმდინარეობს სამეცნიერო ბაზების და სხვა ელექტრონული ბაზებისა და რესურსების განახლება. ბიბლიოთეკაში შექმნილია კეთილგანწყობილი სამუშაო გარემო. ტარდება ღონისძიებები, რომელიც მიმართულია ქართული წიგნისა და მხატვრული სიტყვის პოპულარობის მიზნით.

აკადემიის ბიბლიოთეკა წელიწადში ორჯერ ადგენს ლიტერატურის სიებს. ატარებს ლიტერატურის საჭიროების მისი აქტუალობის და სარგებლობის ანალიზს. შესაძენი ლიტერატურა



და ელ.მატარებლების ფორმირებული დამტკიცებული სიები არსებული წესით გადაეგზავნება შესყიდვების განყოფილებას.

ფაკულტეტებთან თანამშრომლობით ბიბლიოთეკის პერსონალი აქტიუტად მუშაობს სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობაზე ბიბლიოთეკის წიგნად და ელექტრონული ფონდებთან. აქვეუნდა აღინიშნოს რომ ზოგიერთი აკადემიური თანამდებობის პირი ზედაპირულად ეკიდება ამ საქმეს. რაც ძალიან ართულებს ჩვენს მუშაობას.

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად. სულ ჩატარდა 40-მდე სხვადასხვა ღონისძიებები. ყველა ამ სახის აქტივობა ასახულია ბიბლიოთეკის facebook გვერდზე .

2018 წელი ნაყოფიერი გახლდათ ბიბლიოთეკისათვის. შესრულდა გეგმით დასახული ღონისძიებების 85%. აღნიშნულ პრობლემებზე მიმდინარეობს სისტემატიური მუშაობა. ბიბლიოთეკა საჭიროებს ტექნიკურ გადაიარაღებას, დამატებით სივრცესა და საინფორმაციო რესურსებს, რაც გათვალისწინებული იქნა 2019 განახლებული აკადემიის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში.

2018 წელს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ჩატარდა უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაცია, რომლის ერთერთი კრიტერიუმი საბიბლიოთეკო რესურსები და სერვისები გახლდათ.

ავტორიზაციის შედეგებმა გამოავლინა რიგი კომპონენტის გაუმჯობესების აუცილებლობა, როგორცაა ბიბლიოთეკის პერსონალის ტრენინგი ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენების და მომხმარებლის / სტუდენტთათვის ინფორმირებისთვის.

აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკის პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი, ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენებასა და ხელმისაწვდომობის საკითხებთან დაკავშირებით. აგრეთვე მიმდინარეობს მუშაობა საინფორმაციო პოსტერების დასამზადებლად, რომელიც განთავსდება აკადემიის შენობის კორიდორებში და ბიბლიოთეკის დარბაზში.

7. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტის შედეგები

დეპარტამენტებში, სტრუქტურულ ერთეულებში, ფაკულტეტებზე და სასწავლო ცენტრებში შიდა აუდიტები ჩატარდა დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ შიდა აუდიტების ძირითად მიზანს საწმოადგენდა ავტორიზაციის ახალ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა და უმოკლეს გონივრულ ვადებში შედეგების შერსულების კონტროლი.

8. ხარისხი მენეჯმენტის სისტემის გარე აუდიტის შედეგები

8.1 წინასაავტორიზაციო აუდიტი

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ინიციატივით 2018 წლის მარტში წინასაავტორიზაციო მოსამზადებელ პროცესში ჩართული იყო საერთაშორისო ექსპერტი ბასტიან ბაუმანი, რომელიც გაეცნო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის თვითშეფასებას, თანმხლებ დამადასტურებელ მასალებს და ჩაატარა ავტორიზაციის იდენტური პროცესი. ბაუმანის მიერ გამოცემული რეკომენდაციების (სულ 29 რეკომენდაცია) შესაბამისად შემუშავდა მაკორექტირებელი და

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №11

რევიზიის თარიღი 15.02.2019

მოქმედებაშია 25.01.2003



პრევენციური ღონისძიებების გეგმა და შესრულების ვადების დადგენის პროცესში პრიორიტეტულად გათვალისწინებული იქნა ის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდა ავტორიზაციის ექსპერტების შეფასებაზე. პირველ რიგში შევიდა ცვლილებები თვითშეფასებაში და ჩამოყალიბდა შუალედური და გრძელვადიანი ფინანსური გეგმა. რეკომენდაციების ნაწილი შესრულების პროცესშია.

8.2 სასერტიფიკაციო ორგანო

სასერტიფიკაციო ორგანოს „რუსული რეგისტრი“-ის 2018 წლის 11 მაისს ჩატარებული აუდიტის შედეგად აღმოჩენილი იყო 2 უმნიშვნელო შეუსაბამობა (აქტები 18.01601.310–18.01602.310) და 2 რეკომენდაცია (18.001603.310 – 18.001604.310).

გარე აუდიტის შედეგად მიღებული ანგარიშის საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 2 უმნიშვნელო შეუსაბამობის და რეკომენდაციის გათვალისწინებას. დღეისათვის შეუსაბამობებით იდენტიფიცირებული ხარვეზები აღმოფხვრილია და რეკომენდაციების გათვალისწინება პროცესშია.

8.3 მარეგულირებელი ორგანო

2018 წლის ივნისში შესაბამისობის აუდიტი ჩატარა მარეგულირებელმა ორგანომ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ. შემოწმდა აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრის საქმიანობა. პროცესში გამოვლენილი იყო 6 შენიშვნა და 5 რეკომენდაცია. შემუშავებული მაკორექტირებელი გეგმის პროექტი შეთანხმებული იქნა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს აუდიტორებთან ერთად და საზღვაო აკადემიამ გეგმიურად განახორციელა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. დღეისათვის შენიშვნები გამოსწორებულია და მიმდინარეობს რეკომენდაციების თანმიმდევრული გათვალისწინება.

8.4 აკრედიტაციის ორგანო

2018 წლის სექტემბერში საზღვაო აკადემიაში Nautical Institute -ს მიერ ჩატარებულმა აუდიტმა გამოავლინა 8 შეუსაბამობა და 1 რეკომენდაცია, რომლებიც სამი თვის ვადაში დაკორექტირდა, რის საფუძველზეც დინამიური პოზიციონირების კურსების ჩატარების სერტიფიცირების ვადა გაგრძელდა 2021 წლის 17 სექტემბრამდე.

2018 წლის აგვისტო - სექტემბერში პროფესიული მომზადების ცენტრს ჩაუტარდა 3 გარე შემოწმება BTEC-ს საკვალიფიკაციო საბჭოს ვერიფიცირების ექსპერტების მიერ (შედულების მე-3, ამწის ოპერირების მე-3 და ლოჯისტიკის და პორტების მენეჯმენტის მე-5 საფეხურების პროფესიულ პროგრამებზე). გამოიცა რეკომენდაციები, რომელთა შესრულება მიმდინარეობს გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

9. ხარისხის სფეროში მიზნების შესრულების მაჩვენებელი



ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას 2018 წელს ხარისხის სფეროში მუდმივი გაუმჯობესების მიზნით დასახული ჰქონდა 2 ძირითადი მიზნის შესასრულებელი (ინტერნაციონალიზაცია და სამივე სწავლების საფეხურზე პროგრამების განვითარება და მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების წვრთნის კურსების შემუშავება) 9 საკვანძო ამოცანა. უნდა აღინიშნოს, რომ მიზნების შემუშავების პროცესში ვეყრდნობოდით საზღვაო აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმას და პროგრამული აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად ჩასატარებელი ღონისძიებების ნუსხას. წარმოგიდგინებ დასახული მიზნების და ამოცანების შესრულების მაჩვენებლებს:

1. ინტერნაციონალიზაცია - აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად შემუშავებული და დამტკიცებული იყო ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია. არსებულმა სპონტანურმა საქმიანობამ სისტემატიზირებული ხასიათი შეიძინა. პროცესების გამართულად და ეფექტურად მართვის მიზნით საზღვაო აკადემიის საორგანიზაციო სტრუქტურამ განიცადა ცვლილებები და რექტორის აპარატში შეიქმნა ინტერნაციონალიზაციის კოორდინირების სამსახური, რომელსაც დაევალა ერთობლივი სასწავლო პროგრამების და კვლევებისთვის პარტნიორების მოძიება, მემორანდუმების შემუშავება, სამუშაო გეგმების ინსტიტუციური შეჯერება და ერთობლივი გეგმების შესრულების კოორდინირება, ხელშეწყობა და მონიტორინგი. სრული ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების თაობაზე ჩამოყალიბებულია ინტერნაციონალიზაციის თავში.

1.1. „გლობალური გავლენის“ და „გლობალური ცოდნის“ პრინციპების დანერგვისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისათვის ერთობლივი სასწავლო პროგრამებისა და კვლევითი პროექტების რაოდენობის 5%-ით გაზრდა;

შესრულების მაჩვენებელი: - საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების ცვლილება, სასწავლო რესურსების შემუშავება, სასწავლო კურსების პრაქტიკული ნაწილის გაძლიერება და კვლევების ნაწილში სხვა სასწავლებლებთან ერთად საზღვაო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობის გაზრდა. საანგარიშო პერიოდში საზღვაო აკადემია ჩაერთო შემდეგი პროექტებისა თუ განაცხადების შემუშავებაში:

- **“JoRAMT Black Sea”**- Joint risk analyzing and monitoring tools to enhance environmental protection awareness in the Black Sea basin” (ბულგარეთის და თურქეთის საზღვაო სასწავლებლები);
- Education in Geospacial Technologies for environmental safety of coastal ecosystems / **GECOECO** საქართველოსა და უკრაინის ავიაციის ინსტიტუტები;
- **Integrity** - ილიას სახელობის უნივერსიტეტი ერთადერთი გრანტის მიმღები კოორდინატორი ქართული უნივერსიტეტია, რომელიც ოთხ ევროპულ სასწავლებელთან – როკემპტონის (University of Reohampton, ინგლისი), უფსალას (University of Uppsala,



- შვედეთი), ვენისა (University of Vienna, ავსტრია) და დუბლინის (Dublin City University, ირლანდია) უნივერსიტეტებთან, თორმეტი ქართული სასწავლებელი, მათ შორის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით განახორციელებს სტრუქტურული ღონისძიების ეროვნულ პროექტს "Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia (INTEGRITY)" პლაგიატის პრევენციაზე მხარდამჭერი ინსტიტუციური ღონისძიებების გზით;
- **RURD** - Role of Universities in the Regional Development - კოორდინატორი ქუთაისის აკაკი წერეთელის სახელობის უნივერსიტეტი;
 - **LIGAMUS** - Library capacity enhancement for developing innovative content and making user-friendly university services more accessible - კოორდინატორი ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- 1.2. ინტელექტუალური, ინფრასტრუქტურული და ფინანსური რესურსების გაზიარების მიზნით პარტნიორი უნივერსიტეტების რაოდენობის 10% - ით გაზრდა - შესრულებულია;
 - 1.3. განათლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების მიზნით საერთაშორისო პროექტების რაოდენობა 3%-ით გაზრდა - შესრულებულია ნაწილობრივ, განაცხადი შეტანილია;
 - 1.4. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო თანამშრომლობისა და მობილობის 10%- ით გაზრდა - შესრულებულია, შესრულების მაჩვენებელი ასახულია ინტერნაციონალიზაციის ნარილში
 - 1.5. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული რეგიონალური და საერთაშორისო კონფერენციების რაოდენობის ორჯერ გაზრდა - შესრულებულია, აღწერილია ინტერნაციონალიზაციისა და აკადემიის მიერ ჩატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების ნაწილში;
 - 1.6. საერთაშორისო და ნაციონალური ფონდებიდან პროექტების წარმართვა - შესრულებულია სწავლების სხვადასხვა საფეხურზე, მათ შორის პროფესიული განათლების ხელშეწყობის, ახალი კვალიფიკაციების, პროგრამების, მასწავლებლების გადამზადების, საერთაშორისო აკრედიტაციის და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის კუთხით;
2. უახლესი სასწავლო შესაძლებლობების შეთავაზების მიზნით სწავლების ყველა საფეხურზე (პროფესიული, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) ახალი საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოკლევადიანი კურსების შემუშავება და აკრედიტირება - შესრულებულია ;



- 2.1. საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის ბაკალავრიატის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მოყვანა დარგობრივ სტანდარტების დამტკიცებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში - შესრულებულია;
- 2.2. პროფესიული მომზადების ცენტრში მოქმედი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულურ პროგრამებზე გადაყვანა - შესრულებულია, ასახულია პროფესიული მომზადების ცენტრის ანგარიშში;
- 2.3. მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრის შესაძლებლობების გაზრდა - შესრულებულია (იხილეთ ცენტრის ანგარიშში).

10. რეკომენდაციები სისტემის სრულყოფისათვის

- 10.1. ხარისხი წარმოადგენს მუდმივად ცვალებად მდგომარეობას, რომელიც დაკავშირებულია პროდუქტთან, მომსახურებასთან, ადამიანებთან, პროცესებთან, ამიტომ სისტემის სრულყოფა მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც შედეგად ეფექტურს გახდის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ყველა რგოლის მუშაობას;
- 10.2. ხელმძღვანელობის მხრიდან ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე დაისახა რეკომენდაციები სისტემის სრულყოფისათვის:
 - 10.2.1. შემუშავდეს ხარისხის სახელმძღვანელოს ახალი რედაქცია ISO 9001:2015 მოთხოვნათა და ახალი სტრუქტურის გათვალისწინებით, მათ შორის ქართულენოვანი ვერსია;
 - 10.2.2. გამოიყოს ადეკვატური მატერიალურ-ტექნიკური რესურსები სისტემის სრულყოფის სამუშაოების შესასრულებლად;
 - 10.2.3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებლების განხილვის საფუძველზე გადაიხედოს 7 წლიანი და 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, აუცილებლობის შემთხვევაში შევიდეს ცვლილებები;
 - 10.2.4. პროცესების ამსახველ პროცედურებში (ფუნდამენტალურ პროცედურებში) განისაზღვროს მათი შესრულების რისკები;
 - 10.2.5. შევიდეს ცვლილებები საზღვაო აკადემიის პოლიტიკაში ხარისხის დარგში;
 - 10.2.6. ჩამოყალიბდეს მიზნები ხარისხის სფეროში, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კვლევები, განათლების ინტერნაციონალიზაცია და უნივერსიტეტის სტატუსის ამაღლების



ღონისძიებები;

11. გავრცელების არე

- 11.1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
- 11.2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ეგზემპლარს) განთავსებულია www.office.bsma.edu.ge;
- 11.3. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარის დაგზავნას აწარმოებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით.